



### სამშენებლო მანქანებისა და მექანიკური მოწყობილობის №56 მიმართულება

მიმართულება ამზადებს ახალგაზრდა სპეციალისტებს შემდეგი სპეციალობებით და სპეციალიზაციებით:

1. ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო, საგზაო მანქანები და მოწყობილობები (ბაკალავრიატი)
2. ამწე-სატრანსპორტო, სამშენებლო, საგზაო, სალიანდაგო მანქანები და მექანიზმები (მაგისტრატურა)
3. ამწე-სატრანსპორტო მანქანები და ლიფტები (პროფესიული უმაღლესი)
4. სამშენებლო, საგზაო, სალიანდაგო მანქანები და მოწყობილობები (უმაღლესი პროფესიული)

**№56 მიმართულება** არის ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთი უძველესი აკადემიური ქვედანაყოფი. იგი 1960 წლიდან ამზადებს ფართო პროფილის მექანიკოსებს, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებზე და საწარმოებში დასაქმებისათვის.



სტუდენტების მომზადებას ემსახურებიან გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები, მათ შორის 3 სრული პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი; 4 ასოცირებული პროფესორი. მათ მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჩატარებას.

მიმართულების ლაბორატორიული ბაზა აღჭურვილია სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების მოქმედი მოდელებით, შესაბამისი საკვლევი და ლაბორატორიული ელექტრონულ-გამზომი ტექნიკით, სხვადასხვა სახის ამწეების, ექსკავატორების და ტრაქტორის სიმულატორებით (ტრენაჟორებით). რომელთა მეშვეობით სტუდენტები ეუფლებიან ამ მანქანების ტარებისა და მართვის ჩვევებს.

მიმართულების კომპიუტერული კლასი სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეასრულონ საკურსო პროექტებისა და სამუშაოების შესაბამისი გაანგარიშებები.

აღნიშნული სპეციალობების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და უმაღლესი პროფესიული სწავლების კურსდამთავრებულებს **შეუძლიათ იმუშაონ**, წარმოების ოსტატიდან დაწყებული ნებისმიერ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ყველა იმ კომპანიაში, რომელიც ეწევა სამოქალაქო, სამრეწველო, სამხედრო-საინჟინრო, ჰიდროტექნიკური და სატრანსპორტო



ნაგებობების და ნავთობ-გაზსადენების მაგისტრალების მშენებლობას, სერვისის და საფირმო მომსახურების ობიექტებზე, ტექნიკური მომსახურების სადგურებში, სამშენებლო მასალების და ნაკეთობების საწარმოებში (აგურის, ცემენტის, ბეტონის, ბლოკების და სხვ.), სალიფტ მეურნეობებში, საკვლევი, საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში და სტრუქტურულ დანაყოფებში, შესაბამის სადიდლო და კომერციულ კომპანიებში, საგზაო-საპატრულო პოლიციაში,

სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის სტრუქტურებში და მის ფილიალებში, საექსპერტო ბიუროებში.



№56 მიმართულებაზე ფუნქციონირებს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით მინიჭებული აქვს სათავე ორგანიზაციის სტატუსი ამწე-სატრანსპორტო და სამშენებლო-საგზაო მანქანათა პროექტირების და ექსპერტიზის საკითხებში.



ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ სწავლა გააგრძელონ ამავე სპეციალობის მაგისტრატურაში. კურსის დასრულების შემდეგ შეუძლიათ სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში „მანქანათმცოდნეობის და მანქანათმშენებლობის“ სპეციალობით.

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 77  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
კორპ. I, ოთახი 404ბ  
სამშენებლო მანქნებისა და მექანიკური მოწყობილობის